გაცვლითი პროგრამები კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, შესაძლებლობა აქვთ, მესამე სემესტრიდან მეექვსე სემესტრის ჩათვლით, ისარგებლონ მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამებით.

BTU სტუდენტებს სთავაზობს მოკლევადიან და გრძელვადიან გაცვლით პროგრამებს, საზაფხულო და ზამთრის სკოლებსა და სრულად, ან ნაწილობრივ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებს.

გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა სტუდენტებს შეუძლიათ, როგორც ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ ის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის, ასევე ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში.

სრულად და ნაწილობრივ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის:

- ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია;
- რომის საპიენცას უნივერსიტეტი, იტალია;
- კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია;
- ბრაგანსას პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პორტუგალია;
- ვილნიუსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ლიეტუვა;
- კასტილია ლა მანჩას უნივერსიტეტი, ესპანეთი;
- ვიგოს უნივერსიტეტი, ესპანეთი;
- მესინას უნივერსიტეტი, იტალია

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სტუდენტის აქტიური სტატუსის ქონა, მაღალი აკადემიური მოსწრება და ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ესპანური, იტალიური) ფლობა არანაკლებ B2 დონეზე.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვწერეთ: ***international@btu.edu.ge***

BTU ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი